წ ფონემის სემანტიკური განდასება

ავტორი: **როინ ჭიკაძე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

ელფოსტა: roinchikadze@gmail.com

ანოტაცია

სასაუბრო ენაში ცხადად იკვეთება **წ** ფონემის სემანტიკური განდასება, სადაც მრავალფეროვანია ამ ფონემის შემცველი ლექსიკური ფონდი. ამ ფონდში ნათლად ვლინდება სიტყვის მნიშვნელობისა და **წ** ბგერის ორგანული კავშირი. ამ მხრივ უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალაა დაუნჯებული ქართული ენის დიალექტებში. სტატიაში წარმოდგენილია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში განდასებულ **წ** ფონემის შემცველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფები: ყოველგვარი სითხის აღსანიშნავი სიტყვები, საგნის სიმცირე - სიპატარავის გამომხატველი, წვრილი საგნების სახელდებანი, სიწვრილის გამომხატველი ლექსიკა და სხვ.